სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/32

ქ. თბილისი 21 ივნისი 2023

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2014 წლის „29“ იანვრის №46 სხდომის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-04/78 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს

(სენატი) 2014 წლის „29“ იანვრის №46 სხდომის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილება და დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შედგება 11 წევრისაგან, ფაკულტეტის, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან.“

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**